ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №23

17 მარტი 2023 წელი

11:30 საათი

ა/წ 21 თებერვალს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. ირაკლი ხელაძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. ლევან აბაშიძე;
5. ლილე ლიპარტელიანი;
6. ვახტანგ სურგულაძე;
7. მამუკა გუგეშაშვილი;

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

სხდომის დღის წესრიგი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა საკითხის წარმომდგენს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს გელა ჩივიაშვილს.

დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში, კერძოდ, აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-4 მუხლის პირველ პუნქტში, კერძოდ, ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებები მოქმედი რედაქციით ფინანსდება არამატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით, რომლის ღირებულებაა თვეში არაუმეტეს 400 ლარი, ხოლო აღნიშნული ცვლილების მიხედვით ვაუჩერის ღირებულება განისაზღვრება თვეში არაუმეტეს 450 ლარით, ფაქტობრივი ხარჯის გათვალისწინებით. ამასთან, ინდივიდუალური განვითარების გეგმის 1/3 -ზე მეტი სეანსის არ ჩატარების შემთხვევაში, ვაუჩერის ღირებულება 280 ლარის ნაცვლად, განისაზღვრება ვაუჩერის სრული ღირებულების 70%-ით (გარდა მე-5 მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა). ცვლილება შეეხება 1850 ბენეფიციარს.

კომისიის წევრი ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, როგორ მოხდება გაწეული მომსახურების ანაზღაურება მუნიციპალიტეტის მიერ. გელა ჩივიაშვილის განმარტებით ქვეპროგრამის ფარგლებში ანაზღაურება ხდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით.

წარმოდგენილი ცვლილება დადებითად შეაფასა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ და სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. აღნიშნულ საკითხს დამსწრე კომისიის წევრების სრულმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კომისიამ დაადგინა

წარმოდგენილი პროექტი განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე